


№ 37.—1914 ფ ა ს ი 10 კ. 16 ნოემბერი

# კ ო ტ ე  მ ე ს ხ ი



ნაპოლეონის როლში



კოტე მესხი



ნერონის როლში

(გარდაცვალებიდან 6 თვის შესრულების გამო. დღეს ქაშვე-
თის ეკლესიაში პანაშვიდია დანიშნული)

## № 37

## შინაარსი:


1. **მეთაური** — ბუტაფორიის მოღვაწენი 1
2. **კ. ქსნისპირელი** — ჩემი ნატვრა (ლექსი) 2
3. **აკაკი ფალავა** — ქართული ხელოვნებისათვის "
4. **ი. კარგარეთელი** — ქვეყნის მანათობელნი 5
5. **ე. წეველი** — სევდის ვარდი (ლექსი) 7
6. **ნ. კეცხოველი** — რა სულელი ყოფილა "
7. **დ. მესხი** — ომი, ომზე, ომის გამო 8
8. **იოსებ გედევანიშვილი** — სინათლე, — ნაწილი მეორე (ზღაპარი-ფეერია 3 მოქ. და 7 სურ.) 10
9. **ქართული სახიობა** (დრამ. დასის ამხანაგობა, ქუთაისის თეატრი, სახალხო სახლი, ავლაბრის სახალხო თეატრი, 13
10. **წვრილი ამბები** 16

**სურათები; შარჟები განცხადებანი;**



ჟ უ რ ნ ა ლ

"თეატრ ი და ცხოვრების"

წლიურად გამოწერისათვის ანუ ნომრობლივ შესაძენად თბილ. რკინის გზ. სახელოსნოში შეიძლება მიმართონ **ალექსანდრე ბეგლ. ძაძამიას**

(5—2)

## „თეატრი და ცხოვრების"

რედაქციის დროებითი ბინა იმყოფება „სორაპანი"-ს სტამბის კანტორაში (მადათოვის კუნძულზე, № 1). სარედაქციო საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს

**ჟურ. „თეატრი და ცხოვრება"** 5 ქო-დან ამა წლის ბოლომდე გაგზავნით ჰღირს **ორი (2)** მ. ფული და მასალები უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, ред. жур. „Театри да Цховреба"

**Іос. Имедашвили.**

**ახალი გამოცემა იოს. იმედაშვილისა № 52**

დაიბეჭდა და გასასყიდად გამოვიდა **ტრ. რამიშვილის** ახალი სამ-მოქმედებიანი დრამა.

## დედინაცვალი

ფასი 20 კ., ვინც ნაღდად იყიდის ათს წიგნზე მეტს, დაუთმობა 30%. საწყობი „თეატრი და ცხოვრების" რედაქციაში. მისამართი: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба" — Іос. Имедашвили

(10—4

სახალხო სახლი

**ოთხშაბათს, 17 ნოემბერს 1914 წ.** თბილ. ქართ. დრამ. დასის ამხანაგობის მიერ წარმოდგენილ იქნება

## ქვის მთლელნი

დრამა 4 მოქ. თარგმ. სანდალასი

მონაწილეობს მთელი დასი.

ადგილების ფასი 10—1 მ. 20 კ.

**დასაწყისი საღ. 8 ს.**

**რეჟისორი მ. ქორელი**

სახალხო სახლი

**კვირას, 16 გიორგობისთვეს 1914 წ.**

ქართ. სახ. წარმ. მმარ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

## მამცემი

პიესა 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

ადგილების ფასი **4** კ. — 50 კ.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი**

# თეატრი და ცხოვრება

№ 37

წ. II

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: **Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“ I. Имедашвили**

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს.; საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 37 კვირა 16 გიორგობისთვე 1914 წ.


## 16 გიორგობისთვე

**ბუტაფორიის მოღვაწენი**

ბუტაფორიის იარაღი ხომ გაგიგონიათ?—ეს არის სცენაზე სახმარი ხის ანუ სქელი ქაღალდის გარედან შეჭრელებულ-მოვარაყებული ხმალ-ხანჯალი, თოფი, ფარი, ზუჩი ანუ მუზარადი, რომელიც შორიდან მაყურებელს ისე ეჩვენება, თითქო ოქრო-ვერცხლით შემკული ნამდვილი რკინა-ფოლადიაო.

სწორედ ასე გააყალბა, დააქუცმაცა ჩვენი ცხოვრების წვრილმანობამ ჩვენებურ მოღვაწეთა უმეტესობა...

ჰხედავთ უმაღლესი სწავლით აღჭურვილს, ვითომ-და მაღალ იდეალებითაც გატაცებულს, რაოდენათმე ცნობილს, აირჩევ საზოგადო საქმეში და. . ერთ ყავლს (სამ წელიწადს) ისე გაათავებს, რომ ვერც-კი მიჰხვდეს—საზოგადოებამ რა მიანდო და რა უნდა გაეკეთებინა... და ასეთ კაცს ზოგნი ამართლებენ კიდეც—სამი წელიწადი მუქთად გემსახურათ და მეტი რა გინდათო?.. მის „სამსახური“ და „საქმის კეთება კი“ მხოლოდ ის იყო, რომ ორმოც-სამოც-ჯერ დანიშნულ გამგეობის კრებაზე ხუთ-ათ-ჯერ თუ დასწრებია და ისიც —როცა მოსულა, დაგვიანებით, ნახევარი საათით, რადგან სხვა კრებიდან წამოსულა, და ისევ ჩქარა გაქცეულა, რადგან სხვა კრებაზე ყოფილა მისასვლელი... რა გაიგო, რა სთქვა, რა გააკეთა?—დიდ ანგარიშს არ უწევს; არც იმას დაგიდევს, თუ მასზე მინდობილი საქმე ერთ წერტილზე იყინება, ანუ ნელნელა სულს ლაფავს... მას რა, იგი ხომ საზოგადო მოღვაწის სახელითაა ცნობილი!..

გავიდა სამი წელიწადი, ყავლი შესრულა, მის ნაცვლად სხვა აირჩიეს. რას შვრება ეს გადამდგარი გამგეობის წევრი? თუ ქართ. დარ. საზ. გამგეობის წევრია ანუ წრისა, იგი არა თუ ახალ გამგეობას თვისის გამოცდილებით (რაც უნდა იყოს, გამოცდა ექნება) ეხმარება, არამედ მისგან გამართულ წარმოდგენებსაც კი არ ესწრება. თეატრში რომ ქუდი შეუგდო—გამოსატანადაც არ შევა და თითქო იმასაც-კი ცდილობს, ახალმა გამგეობამ არაფერი გააკეთოს, რომ მით დამტკიცდეს წინა გამგეობის ვითომ და დიდი „ღვაწლმოსილება“... ასე იქცევა თითქმის ყველა ჩვენებური საზოგადო საქმის მეთაურთა უმეტესობა: აქტიურად, პირადის მეცადინეობით თუ არა, პასიურად, თვისის უმოქმედობით მაინც ისე იქცევა, რომ მის გარეითად სხვამ ვერაფრის გაკეთება შესძლოს. ახალი თაობა წინა თაობის ნამოღვაწევს არ ითვალისწინებს, მითი არ სარგებლობს, ძველი თაობა ახალ თაობას არ ეხმარება, არ აქეზებს, თითქო საზოგადო დაწესებულება მხოლოდ პიროვნებათა თავგამოსაჩენი ასპარეზი იყოს; ყველა მათგანი გენერლობას—მთავარსარდლობას ჩემობს და ჯარის კაცობას, საქმის საკუთარი ხელებით კეთებას გაურბის...

საზოგადო მოღვაწის სახელის ტარება მას პირადის წარჩინებისთვის, თვისი თავის გამოჩენისთვის უნდა,—ოღონდ მასზე ილაპარაკონ, სწერონ, სხვას არას დაგიდევს...

რას უწოდებთ ამისთანა ადამიანებს, თუ არა ბუტაფორიის მოღვაწეებს?!

ამიტომაც არის, რომ ჩვენი „საზოგადო მოღვაწენი“ გარეგნულად გარეშეებს—შორით მაყურებელთ—უბრმავებენ თვალს, შინაარსით, სინამდვილით—შინაურებს...

ნუ თუ ასეთ ბუქაფორულ მოღვაწეობას ბოლო არ მოეღება?

სხვათა შორის, დღევანდელმა ქ. შ. წ. კ. გ. ს. კრებამ უნდა ფხიზლად ასწონოს თვის-მიერ არჩეული გამგეობის განვლილი საქმიანობა და თუ კი ვინმე ისეთი აღმოჩნდება, რომ გამგეობის წევრის სავარძელს ტყვილად აბანდებს, ახლავე უნდა გადააყენოს,—ვინც უნდა იყოს იგი, სულ ერთია. შეიძლება კაი მწერალი იყო, კარგი ქართველი, პირადად დიდათ პატივსაცემი ადამიანი, საქმეში კი გამოუსადეგარი. ახლანდელ გამგეობის თითოეულ წევრს ცალცალკე დიდაც რომ დიდ პატივსა ვსცემთ, მაგრამ თუ იგინი პირადი საქმეებისა გამო საზოგადო საქმეს იმდენს ვერ უწილადებენ, რაც საჭიროა —რათ უნდა ისხდენ საზოგადო საქმის სათავეში?!

დრო მართლაც ისე ძვირად გვიღირს, იმდენი საქმე გვაქვს სწრაფად გასაკეთებელი, რომ უმოქმედო კაცებით, ანუ მოუცლელ მოღვაწეებით ჩვენ საზოგადო დაწესებულებათა გავსება—დიდი დანაშაულობა იქნება ქვეყნის წინაშე: საქვეყნო საქმე ქვეყნისთვის თავდადებულსა და მუყაით კაცს უნდა მიენდოს, თუნდა ამისთვის ჯილდოს გაღებაც დაგვჭირდეს...

# ჩემი ნატვრა

როს ცას ჯანლი გადეკვრება,
გადეკვრება შავი რიდე,
მწუხრის სახით ჩამოიცქერს
დაღვრემილი კიდით-კიდე;
როს ლურჯ ცაზე ვერა ვხედავთ
მოკიაფე სხივებს მზისას,
გაცრეცილი არე-მარეც
ვერ სჭვრეტს დილას მაისისას, —
მაშინ მე მსურს, მე სუსტს ძალას
მე უმაქნისს, შვილს ძილისას,
გამომესხას მძლავრი ფრთები
და ბრჭყალები არწივისა,
რომ ფრთა ფრთას ვკრა, მყის ცას გავჩნდე,
ცას შევეხო ბრჭყალებითა,
გავკრა რიდეს, გადავხიო,
შემოკრებილ ძალებითა;
ღრუბელთ გროვა მიმოვფანტო,
მიმოვფანტო გროვა მთელი,
რომ კვლავ მდელოს, ხალხს, ქვეყანას,
დაუბრუნდეს მზის ნათელი!...

**კ. ქსნისპირელი**



**მწერალი ქალი კატო მიქელაძე**

პირველი ქართველი ქალი, რომელმაც სწავლა დაამთავრა ბრიუსელის (ბელგიაში) ახალ უმაღლეს სასწავლებელში საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

# ქართული ხელოვნებისათვის

აღარ არის ქართული თეატრის შენობა, მაგრამ სცოცხლობს ქართული თეატრი და კვლავ იცოცხლებს მრავალ ჟამიერ განახლებული და გაძლიერებული.

ეს იმედი, როგორც სხანს, ყველა ქართველს ღრმად აღბეჭდია გულში, რაც საფუძველია მკვიდრი მომავლისა. ახალი თეატრის შენობის აგების ეროვნულ საქმედ გადაქცევა ერთად-ერთი ხსნაა ჩვენი ხელოვნებისა. ყველას ესმომება, ვინც მოისმინა ან წაიკითხა, წელს სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა ყრილობაზე მიღებული სურვილები, რომელთა განხორციელებას დღესვე უნდა შევუდგომოდით. ეს იქნებოდა მომასწავებელი ჩვენი ხელოვნების სიცოცხლისა, მაგრამ იმავე დროს ჩემთვის პირადათ ცხადი იყო, რომ მათი განხორციელება იმ კედლებში, რომელნიც დღეს ნანგრევებად დგანან, ზოგჯერ მეტად ძნელი და უმეტესად შეუძლებელი იყო და განგებამ თითქოს გზა მოგვცა და გვეუბნება: თუ თქვენ მარტო მოლაყბენი არა ხართ, არამედ საქმის კაცნი, აჰა ბურთი და მოედანი შექმენით ის რაც თქვენ თვითონ ისურვეთო.“

დღეს არავისათვის საიდუმლო არ არის, რომ ჩვენი თეატრი მეტად ცუდათ იყო აშენებული. გარდა გარეგანი სილამაზისა, მას არ უვარგოდა არც სცენა, არც დარბაზი. ვერც ერთი რთული პიესის განხორციელება ვერ ხერხდებოდა ჩვენს სცენაზე.



ნ. ჯავახიშვილი
მსახიობქალი. ბენეფისის
გამო ქუთაისის თეატრში



კოტე მესხი
გარდაცვალებიდან ექვსი
თვის შესრულების გამო

ამგვარად უნდა შევურიგდეთ ჩვენის ხალხის მიერ შექმნილ ბრძნულ ანდაზას, რომ „ზოგი ჭირიც მარგებელია“ არა იმიტომ, რომ მთვლემიდ უბედურებას არა ვგლოვობდე, არამედ იმიტომ, რომ „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსაო“ ჩვენი გენიის არ იყოს და, დარწმუნებული ვარ, იმ ნანგრევებზე განახლებული ტაძარი აღიმართება.

„ურილობაზე“ შეძლების და გვარად გავითვალისწინეთ ყოველიყე მხარე ჩვენი თეატრის ცხოვრებისა. უმწვავესი საკითხი როგორც შეერთებულს, აგრეთვე კომისიის სხდომებზედაც იყო საშუალების საკითხი. არამც თუ ჩვენ, დიდ თეატრებსაც ევროპის დიდ ცენტრებში არ ძალუძთ გარეშე დახმარების მიუღებლად არსებობა. მით უფრო ჩვენთვის ეს საკითხი ერთიად ძნელი მოსაგვარებელია.

ის დრო, როდესაც სცენაზე დაფას დადგამდენ და ზედ წააწერდენ „ტყე“ თუ „მინდორი“, „სასახლე“ თუ „ქოხიო“, წავიდა. დღევანდელ მაყურებელს ასეთი პრიმიტიული გამოსახვა დეკორუმისა არ აკმაყოფილებს. როდესაც მაყურებელი დარბაზში შემოდგამს ფეხს და სავარძელში წამოიჭიმება ბილეთითურთ, ის ამბობს: „მე ბილეთი მიყიდია, ფული მიმიცია, მოვსულვარ აქ, თქვენთან, რომ მიზღოთ ჩემი დანახარჯიო.“

სხვა გვარი ფილოსოფია მაყურებლისათვის არ არსებობს.*)

დღეს არამც თუ უნდა ელაპარაკო მაყურებელს, უნდა დააკმაყოფილო მის სმენასთან ერთად ხედვაც, ჩასწვდე სულის სიღრმეში და უხილავი ჯაჭვით მიაბა რამეს, რომ მუდმივი თაყვანისმცემელი გახდეს მისი.

ყოველივე ამას უნდა დრო, დრო კი ფულად ღირს. ეს ისეთი რკინის კანონია, რომელსაც ჩვენ ვერ შევცვლით,

ჩვენი დევიზი უნდა იყოს: „რაც შეიძლება ნაკლები ხარჯით, მაქსიმუმი ღირსებულების შექმნაო“. უნდა მოხდეს კონცენტრაცია იმ ძალთა, რაც დღეს ასე დაბნეულად იხარჯება და გაძლიერდეს ახალი საშუალებით. ცხად საყოფელად ჩემის აზრის ავიღებ შემდეგ მაგალითს. მას შემდეგ, რაც „ღალატი“ დაიწერა, 1907 წლიდან, იგი დადგმულა ჩვენს სცენაზე 35-ჯერ (ვანგარიშობთ ორთაშუა რიცხვით 3 წარმოდგენას წელიწადში თბილისისთვის, 2 ქუთაისისათვის 7 წლის განმავლობაში, ეს ანგარიში ზედმიწევნით არ არის, მაგრამ სინამდვილეს ეთანხმება).

ამ 35 წარმოდგენისათვის, 25-ჯერ მაინც მუშაობა ხელახლა დაწყებულა და 25-ჯერვე ხელახალი ხარჯი გაწეულა, მაგრამ ყოველივე ეს მომხდარა სხვადასხვა დროს. ბოლოს მაინც ერთხელაც არ დადგმულა „ღალატი“ უნაკლოდ.

აქედან მე ასეთი დასკვნა გამომყავს: ჩვენ უსათუოდ პირველადვე უნდა მოვამზადოთ პიესა შესაფერისად, უნაკლულოდ, ერთხელ სათავეშივე ჩავყაროთ ის საშუალება, რაც შეგვეძლება და რაც ასე უთავბოლოდ სხვადასხვა დროს და ნაწილნაწილად იხარჯება. ამ გზით ჩვენ შევქმნით მუდმივ ღირებულებას, დავიცავთ ხელოვნების აუცილებელ მოთხოვნილებათ, დავაკმაყოფილებთ საზოგადოებას და ნაკლები ხარჯით მივიღებთ მეტ შემოსავალს.

ხოლო ამ დებულების განსახორციელებ-

*) ქართველი მაყურებელი არ არის ასეთიო, შეიძლება სთქვას ვინმემ: მას, გარდა ვაჭრული ანგარიშისა, სხვა გრძნობაც ამოქმედებსო. ჩემის ღრმა რწმენით, ასეთი შეხედულება შემცდარია: თუ დღეს ქართველი ქველმოქმედების აზრით დადის ჩვენს თეატრში, ეგ ანომალიაა, ანომალია უკუღმართი, დამამცირებელი ხელოვნების მსახურთათვის, გამრყვნელი ფსიხიკისა, დამღუპველი ხელოვნებისა. დროა შევიგნოთ ეს და დონეზე დავაყენოთ ჩვენი თეატრი, რომ ქართველს ჩვენს წარმოდგენაზე სიარული კანონიერ მოთხოვნილებად გადაექცეს, თუ დღეს მანათს უმადურობით იღებს, ხვალ სამ-ოთხ მანათს იძლეოდეს დიდის სიხარულით და ბეჯითად ესწრებოდეს ყოველ წარმოდგენას, რადგანაც დარწმუნებული იქნება, რომ მიიღებს შესაფერისს ჯილდოს თავის დანახარჯისას. ქველმოქმედება არის ღარიბთა და ღატაკთათვის, ჩვენ, ჩვენს ხელოვნებას ეგ არ შეშვენის.

ლად საჭიროა ძირითადი რეორგანიზაცია საქმისა და ამ რეორგანიზაციისათვის საუმჯობესო დრო ახლაა. ერთის მხრით მომწიფებულია ასეთი აზრი, მეორე მხრით გარეგანი პირობებიც ისეთია, რომ დრო არ უნდა დავკარგოთ.

თუ ჩვენ დღეს არ ვისარგებლეთ ყოველივე ამით, მერწმუნეთ, ქართული თეატრის წინმსვლელობას ასი წლით მაინც უკან დავახევინებთ და დახევინება კი ხელოვნებაში— სიკვდილია ხელოვნებისა.

ხსენებული გარეგანი პირობანი ის არის, რომ საქართველოს ორ დიდ ცენტრს: თბილისსა და ქუთაისს არა აქვთ თეატრი. ქუთაისს ც იმიტომ, რომ ის შენობა, რომელიც დღეს არსებობს, ყოვლად უვარგისია, რასაც ყველა გრძნობს დიდი ხანია. ნუ თუ აქაც კატასტროფაა საჭირო, რომ რამე გაკეთდეს!

ჩვენ რომ შეძლება მოგვეცეს შესაფერისი ხარჯი გავწიოთ პიესის დასადგმელად, უზრუნველყოფილი უნდა ვიყოთ, რომ ათჯერ მაინც ვითამაშოთ ერთსა და იმავე პიესას ერთ სეზონში.

მარტო თბილისი,ან ქუთაისი იშვიათად გაუძლებს ასეთ მოვლენას,რაც უნდა ზედმიწევნით დაიდგას პიესა, ორივე ქალაქი კი თამამად და თავისუფლად მე ვანგარიშობ 6-ს თბილისისთვის და 4-ს ქუთაისისთვის. ამის დასამტკიცებელი საბუთები თუ წარსულში იყო (მოიგონეთ „მსხვერპლი“, „დალატი“, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, „სინათლემ“ ხომ რეკორდი სძლია), მომავალში სრულიად დარწმუნებული უნდა ვიყოთ— გაცილებით მეტი იქნება.

ეს რომ განხორციელდეს ჩვენ შეძლება უნდა გვქონდეს ორივე ქალაქში ერთი და იმავე მოწყობილობით დავდგათ პიესა და რომ შესაძლებელი გახდეს თბილისსა და ქუთაისში უნდა იყოს ორი ერთგვარი თეატრი, განსაკუთრებით ზომის მხრით და უეჭველად ერთგვარი სცენა. დარბაზი შეიძლება მეტი იყოს თბილისში, ნაკლები ქუთაისში, ეს როგორც საჭიროთ დავინახავთ,. მოწყობილება სცენისაც უნდა იქნეს ერთგვარი. ერთი სცენა მეორის სრულ ასლს უნდა წარმოადგენდეს.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეგვეძლება ჩვენ ერთი ორად ავამაღლოთ ჩვენი შემოქმედება და გავაძლიეროთ შესაძლებლობა.

ეს არის მინიმუმი.

მე უფრო შორს წავალ. ჩემს გონებას ასეთი სურათი აქვს დახატული: თბილისში არსებობს სრული დასი ორივე ქალაქისათვის, თბილისშივე მზადდება პიესა, წარმოდგენა პიესისა კი ხდება როგორც თბილისში, ისევე ქუთაისში მორიგეობით, მზადება პიესისა კი საჭიროა თბილისში იმიტომ, რომ დღეს დღეობით თბილისი უკეთეს პირობებშია. თბილისშია მუზეუმი და ბიბლიოთეკები, რაც აუცილებელია დღეს სათეატრო მუშაობისათვის. მთელი პიესების გადატანა ან ტარება ერთი ქალაქიდან მეორეში ხულ ადვილი საქმეა, საკმარისია ვიქონიოთ ერთი ვაგონი. აქ იბადება მრავალი წვრილმანი საკითხი, მაგრამ ყველა ეს ტეხნიკას შეეხება და ვინც ცოტათი მაინც ჩაუფიქრდება, ადვილად ახსნის.

ცხადია ასეთი სისტემა შეგვაძლებინებს ჩვენც ნორმალურ პირობებში ვიმუშაოთ, შევქმნათ ნამდვილი ხელოვნური წარმოდგენა, განვასახიეროთ ჯეროვანად ქართველის სახე და ცხად ვყოთ ჩვენი შემოქმედება. ასეთი შემოქმედების ნაყოფი ადვილად შეიძლება არამც თუ შინ, სამშობლოში გამოვიტანოთ, სამშობლოს გარეთაც გამოვფინოთ. ეს შეგვაძლებინებს ქართული ხელოვნება ჩადგეს ევროპიელთა ხელოვნების რიგში და ჩვენი ნიჭიც ხელოვნებისა( რაც ასე გაბნეულია დღესდღეობით) გაიშალოს და გაიფურჩქნოს. ხელოვნების ყველა დარგს ჰყავს ქართველი წარმომადგენელი, მაგრამ უკუღმართი პირობების წყალობით ეს ძალები მიმობნეულია მთელს ქვეყნიერებაზე. რუსეთს რომ თავი დავანებოთ. იტალიასა და საფრანგეთშიც კი აღმოაჩენთ ქართველ ხელოვანს. ყველაფერს უკუღმართ პირობებს ნუ დავაბრალებთ. ეს სუსტის ლოღიკაა. ჩვენ რომ შიგ, საქართველოში, მძლავრი ცენტრი ხელოვნებისა გვქონდეს და ვქმნიდეთ შესაფერისს ღირებულებას, მაშინ შევძლებთ ყველა ჩვენს ძალებს თავი მოუყაროთ და ჩვენი შემოქმედება, ხელოვნების რა დარგშიც უნდა გამოიხატოს (დრამა, მუსიკა, ცეკვა სიმღერა), თამამად გავიტანოთ ყველგან ეს კი მოხდება მაშინ, როდესაც საქმის ორგანიზაციას ძირიანად შევცვლით, ყოველი ხელოვნების ნიმუშის შექმნას შევალევთ შესაფერის დროს, ცოდნასა და საშუალებას.



**მსახიობი ი. ჟივიძე**

ნოქართა კლუბთან დაარს. ქართ. წარმოდ. მმართველ სექციისა და ხარფუხის კლუბთან არსებულ დასების რეჟისორად მიწვეული

რათ უნდა იყოს მთელი დასი თბილისში და არა ნახევარი (ანუ ერთი) და ნახევარი (ანუ მეორე) ქუთაისში? იმიტომ რომ ორი დასის შენახვა უფრო მეტი დაჯდება, ვიდრე ერთისა; მეორეც ისა, რომ ორი მცირე რიცხოვანი დასის ყოლას გაცილებით ერთი სრული დასის ყოლა სჯობია.

თანამედროვე სასცენო ტეხნიკისათვის აუცილებლად საჭიროა დასის შემადგენლობა შეიცავდეს, რაც უნდა ცოტა ვიანგარიშოთ, არა ნაკლებ 60 კაცისა. ამას უნდა მივუმატოთ სცენის მუშებიც სხვა და სხვა დარგისა. ამ რიგად აუცილებლივ საჭიროა დასისათვის:

2 რეჟისორი, 2 მისი თანაშემწე, 2 სუფლიორი; **10** მსახიობი ქალი; **15** მსახიობი ვაჟი; **15** —ქალი და **15** ვაჟი სალიანგო სცენებისათვის; **3-4** ტეხნიკი და 1-იც მათი უფროსი: 4-5 ბუტაფორი და 1-იც მათი უფროსი; 10-მუშა სცენის და 1-იც მათი უფროსი; 5-6 მკერვალი ქალი და ვაჟი; 2-3 მაინც გრიმის გამკეთებელი და 1-იც მათი უფროსი, იგივე პარიკების მკეთებელი.

აბა ყველა ამათ ყოლას შესძლებს ერთი ქალაქი?

ეს შტატი მინიმუმია იმისა, რაც საჭიროებს დღევანდელ წარმოდგენას, ხოლო ამის განხორციელება ჩვენ შეგვეძლება მაშინ, როდესაც შესაძლებელი იქნება სეზონი რამდენიმე პიესით განისაზღვროს, ხოლო წარმოდგენების რიცხვი გაცილებით მეტი იქნეს, ვიდრე დღეს, ე. ი. გვქონდეს სულ 10-12 პიესა და თვითეული წარმოვადგინოთ რამდენიმე ჯერ (მაგ. 10 ჯერ).

უოველივე ეს ადვილი შესაძლებელი გახდება, როდესაც საქართველოს ორ დიდ ცენტრში თბილისსა და ქუთაისში გვექნება ერთი ტიპის თეატრი.

ეს მოსაზრება არ არის მომენტის ნაყოფი, არამედ დიდი ხნის ნაზრი და ნაზრახია. ამ საკითხს მეტად დიდი ყურადღება საჭიროა და იმედი მაქვს ჩვენი დღევანდელი საზოგადოცხოვრების მესვეურნი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ და სისრულეში მოიყვანენ კიდეც. წინააღმდეგ შემთხვევაში ხსნა არ არის და მარტო თბილისისათვის თეატრის აშენება, რასაკვირველია კარგი იქნება, მაგრამ თვით საქმეს, ჩვენს ხელოვნებას ჯეროვან სამსახურს ვერ გაუწევთ. ეს იქნება ისევ პალიატივი. ეს იქნება ძველი გზით სიარული, ეს იქნება დაბრკოლება, შეჩერება ჩვენი წინმსვლელობის დიდი ხნით და შეჩერება კი ხელოვნებაში—როგორც ზევით ვსთქვი—სიკვდილია ხელოვნებისა.

ამ იმედით გამოვიჩენთ იმდენ აზრის სიმწიფეს და ვისარგებლებთ დღევანდელი მდგომარეობით სავსებით და არა ნახევრად და მით ვიხსნით ჩვენს წმიდათა წმიდას, ჩვენს სამლოცველო ტაძარს, რომელიც დღეს ერთად-ერთი სრულიად თავისუფალი დაწესებულებაა ჩვენთვის, სადაც ქართველის მთელი არსება სცოცხლობს თამამად, ლაღად და თავისუფლად.

**აკაკი ფაღავა**

# ქვეყნის მანათობელნი

(დასასრული. იხ. „თ. და ც." № 35)

გაგეგონებათ გიოტეც,—დამწერი „ფაუსტისა". ექვსის წლის ბავშვი ფიქრობს იმაზე, თუ რა არის ღმერთი, რა არის სულის უკვდავება და ძალიან უკმაყოფილოა, რომ ვერ წარმოიდგენს სახეს ღმერთისას. ბავშვობიდანვე გიოტემ გამოიჩინა ფრიად დიდი ნიჭი ენების შესწავლისა; იგი სთხზავს რომანს, სადაც დები და ძმები ერთმანეთს სწერენ წერილებს; ხოლო რომანში ისეა გამოყვანილი, რომ უფროსი ძმა ნემეცურ ენაზე სწერს თავის წერილებს, მეორე—ინგლისურზე, მესამე—ფრანგულზე, მეოთხე—ლათინურზე და მეხუთე—ებრაულზე. . გიოტე ბავშვო-

ბისას მალ-მალ დაიარებოდა ებრაელების სამლოცველოში და მღვდელმთავარი უსმენდა ქადაგებას... რას წარმოადგენს გიოტეს „ფაუსტი“ და რა სახელი დაუტოვა მან კაცობრიობას,—ამაზე ლაპარაკიც კი მეტია.

აი, მოიგონეთ რაფაელიც. ბავშვი მხატვარ მამას ჰშველოდა სახელოსნოში მუშაო-



**რაჟაელი**

ბის დროს, მამის ნახატებს იგი გაუსვავდა ფერადს და სურათი სავა ელფერს იღებდა... რაფაელის წყურვილი და ძიება სიმშვენიერისადმი ყველასთვის ცნობილია და აკი გაამართლა კიდეც! მან შეჰქმნა მთელი ეპოქა ხელოვნებაში... ჯერ ბევრი საუკუნე გაივლის და მას გვერდში ვერავინ ამოუდგება.



**იოგან ბახი**

იცით ვინ იყო იოჰან ბახი? ვინ იცის კაცობრიობას რა ჰენიოსი მოევლინებოდა, რომ იოჰანნეს ცხოვრების პირობები მკაცრად არ მოჰპყრობოდნენ. მისი მამა—მემუსიკე შვილს არ ანებივრებდა. ფილოსოფიით უფრო უტენავდა გოგრას, ვიდრე იმით, რაც ბავშვს აინტერესებდა... მამის შკაფში ნოტების რვეული ინახებოდა; იოჰანნეს სასტიკად ჰქონდა აკრძალული და ნაბრძანები, რომ ამ რვეულს არ მიჰკარებოდა. ბავშვი კი იმის ოცნებაში იყო, თუ როგორ ჩაეგდო ეს რვეული ხელში. ერთ მშვენიერ ღამეს სურვილიც აისრულა: რვეული შკაფიდან გამოაცოცა; შემდეგ, ექვსი თვის განმავლობაში პატარა იოჰანნე იღებდა რვეულს, ესიყვარულებოდა და მთვარიან ღამეში მამის ჩუმად სწერდა რვეულიდან მელოდიებს. დაჰკრავდა რიყრაჟს და ბავშვიც უკანვე სდებდა ხელთნაწერს. იოჰანნე ამ დროს ათის წლის იყო,—მეტის არა.

მაშ ვილა არის ვილლი ფერრერო, რომელსაც მთელი ევროპა დღეს აღტაცებაში მოჰყავს? (იხ. „თ. და ც.“ № 33). ვილლი ფერრეროც ერთი იმათთაგანია, ვისზედაც ზემოთ ცოტა რამ გაუწყეთ. თუ ვილლი ფერრეროს ნიჭის ზრდას ხელი შეეწყო, მომავალში იგი კაცობრიობას ჰენიოს მემუსიკედ უნდა მოევლინოს. ბავშვს არა ჩვეულებრივი ნიჭის გამომეტყველება არც სიკვდილსა და არც გადაგვარებას არ უქადის. ჩვენს ულაზათო და უფერულს ცხოვრებას ესაჭიროებიან ამისთანა ბუმბერაზნი ხელოვნებაში, მეცნიერებაში. მაშ დაუმადლოთ ბუნებას, რომ იგი არ გვივიწყებს და დროგამოშვებით გაგვინათებენ ხოლმე მისნი შუქურნი და თუ ჩვენს შვილებს შევამჩნიეთ ნიჭი რისამე, ლტოლვილება და სიყვარული საგნისადმი, ნუ ჩავკლავთ, ნუ ჩავახშობთ უდროოვოთ, ხელი შეუწყოთ მის ბუნების საჩუქარის ზრდას, ვინ იცის, იქნებ რა აღმოცენდეს ამ საძირკველზე! ბავშვი ნაზი ყვავილია, შეიძლება იგი ისე მალე ჩასჭკნეს, რომ ვერც კი ეღირსოს გაზაფხულში ფეხის შედგმა. დეე, საამქვეყნო სიხარულის ბაღში იგინიც ჰყვავოდნენ და ჩვენი სიყვარული და გულითადი გრძნობა მათ ნიჭს მფარველად ექმნეს.

**ი. კარგარეთელი**



**მოტორებით გადაზიდვა გერმანულ მძიმეარტილერიისა**

# სევდის ვარდი

მომეჩვენა, მივდიოდი, ვშორდებოდი მშობლის ნანას,
ვშორდებოდი ნაცნობ ადგილთ, ვშორდებოდი ჩემს ქვეყანას.
ვშორდებოდი სამუდამოდ წითელ ვარდებს, ცის ფერ იას...
ამ დროს უცებ ცა გაიხსნა და შევხედე ცის ფერიას,
და შევსძახე: „ვინ, ვინ ახსნას, ვინ გაიგოს ჩემი დარდი?“
ხმა არ გამცა, მხოლოდ ზეცით გადმომიგდო სევდის ვარდი.
სელი ვსტაცე მე იმ ვარდსა, ტრფობით გულში ჩავიკონე,
და ზეციდან უხილავის ეს სიტყვები გავიგონე:
„ვარდი შენი სამშობლოა — სევდა მასზე დამჩნეული,
ცრემლებია შენი ერის მხამ-ნაღველად დანთხეული“.
და მას შემდეგ ვარდის ლოცვებს როცა ვამბობ, როცა ვლექსავ,
ტანჯულ ერის სევდით ვქარგავ, და მისსავე ცრემლში ვლესავ.

**ხ. წეველი**



**დრამატ. ი გედევანიშვილი**
(ქარ. დრ. საზ. გამ.
წევ-მდივანი)
...მადლობა ღმერთს: თქვენ თქვენთვის, ჩვენ ჩვენთვის!.. ძლივს არ მოვიცალე მუზის სამასპინძლოდ!

# რა სულელი ყოფილა!

— რა უნდა მიამბო, გიორგი, რომ დამპირდი?..

— ჰო, გიამბო? გიამბობ, გიამბობ ლეგენდას...

— მიამბე, შენი ზღაპრები მუდამ მართობენ?..

— მხოლოდ გართობენ? მაშ ვიწყობ. იყო ერთი მშვენიერი ქვეყანა, სადაც ყოვლად ბრძენი მეფე გამგებლობდა. იმ მეფეს ერთი მზეთუნახავი ქალი ჰყავდა: თვალნი მისნი ისეთი შავნი და უძირონი იყვნენ, ვით თვალნი შენნი და... ჰა, რად მოიღრუბლე, გეწყინა, აღარ გიამბო? მაშ კარგი.... გიშრის ცხრა ნაწნავი შავ ღამესავით შემოჰხვეოდა მის ბროლის ყარყარა ყელს. რაღა ვთქვა ბევრი. მართლაც ლამაზი იყო. მრავალი ახალგაზრდა ეტრფიალებოდა, ღირსი მისი კი გაჰხდებოდა მხოლოდ ის, ვინც მეფის ასულს უკვდავების ოქროს ვაშლს მოუტანდა, რომელიც ცხრა მთას იქით იყო და მცველად გარს გველეშაპი ერტყა მრავალი ჭაბუკი ეცადა ბედს, მაგრამ ამაოდ იღუპებოდნენ, — გველეშაპის მსხვერპლი ხდებოდნენ.

მგოსანი ერთი იყო სასახლის კარზე, რომელსაც შეუყვარდა ასული იგი და მოახსენა მეფეს თავის გრძნობანი. განრისხდა მეფე.

— შე სულელო, ვიღაც მოხეტიალეს, უთვისტომოს. .

— მართლაც და რა სულელი ყოფილა!..

— „უთვისტომოს მოგცე ქალი ჩემი?“

და ვინაიდან მეფე ჭკ, იანი იყო, შეიკავა მრისხანება და მოსთხოვა მოეტანა ვაშლი, თუ შესძლებდა.

გაემგზავრამგოსანი საშინელ სავალ გზებით, სადაც ყოველ ფეხის გადადგმაზე შავი სიკვდ ლი დაპარპაშობდა და ყველას სთავაზობდა და იპატიჟებდა თვის შავ-ბნელ სასახლეში. მაგარამ მგოსანი არ შედრკა: თავის საამურ ჩანგის ჟღერით წინ მიისწრაფოდა. იარა დიდ-ხანს და არც შეწყვეტილა ჩანგის სასიყვარულო ჟღერა. ეახლა გველეშაპს. შესანიშნავ მცველი უკვდავების ვაშლისა, მიჰხვდა მგოსნის გრძნობათ ჩანგის ჟღერაში, თვით მოსწყვიტა სანატრელი ნაყოფი და გადასცა მგოსანს.

— „წმინდა სურვილითაა აღტყინებული გული შენი და წმინდათვე ჟღერს ჩანგი შენი. წაიღე ახლა და კვლავ აღარ გიხილო სამფლობელოსა ჩემსას.“

წამოვიდა მგოსანი სულ-ამაღლებული და ეახლა მეფეს.

— მოვიტანე ვაშლი უკვდავებისა.

მეფე გაჰკვირდა, კი არ დაიბნა და მყის ბრძანა:

— მომეც ვაშლი ეგე და შენ კი, ჯალათო, მოსჭერ უსირცხვოს სულელი თავი.

შეჰკრთა მგოსანი და ესლა სთქვა: „მოვკდები, მაგრამ წმინდა სიყვარულით“...

მეფემ ვაშლი“ დამშვიდებით წაიღო, რათა გამხდარიყო უბერებელი და მოსძულებოდა ეს ქვეყანა.

მგოსანს ჯალათმა მზის ამოსვლისას, როს ბულბული ემშვიდობებოდა სატრფოს, რომელიც მზისგან ბოლოს მოჰკვდებოდ , და ჰაერში იკმეოდა სადიდებლი ჰანგები, სწორედ მაშინ მოჰკვეთა თავი და მის სპეტაკ ალისფერ სისხლით შეჰღება ნორჩი ბალახი...

— მაშ სულელი არა ყოფილა?!..

— სულელი?!!...

**ნ. კეცხოველი**

# ომში

# დაჭრილნი



შტ-კაპ. ალექ. ჯავახია (მოკლულია)



პოდ. ივანე ჩიქოვანი (მოკლულია)

## ომი ომზე, ომის გამო

სურათები

ევროპაში უფრო წარმოუდგენელია იდეალებისა და ძმობა-ერთობა-თავისუფლების განვითარება, ვიდრე ჩვენ შორის სამოცდაათმილიონიანი სახელმწიფო იარსებებს, სადაც მანქანურის სიბეჯითით შემუშავებულია ყოველი საშუალება სამხედრო ავაზაკობის; სადაც მთელი ერი, მის საუკეთესო წარმომადგენელთა და მოწინავე პარტიათა გამოუკლებლივ, სამართლიანად სთვლის ამ საშუალებათ, თავის უფლებად სახავს მათდა საწინდრად მიაჩნია თვის მომავალი წარმატება-აღორძინებისათვის.

პ. კროპოტკინი



პოდ. ილარიონ ჯაბავა



ჯარის-კაცი ი. გვანცალაძე (ქნარი)

დაჭრილია ოსმალეთის საძღვარზე



პოდ. პეტრე ქარუმიძე



ჯარის-კაცი ხ. მახარაძე



ჯარის-კაცი ვ. თავაძე

ა.

საავადმყოფოში ვიწექი...

ერთ დილით სამოცი წლის მოხუცებულისთვის დიდათ სერიოზული აპერაცია უნდა გაეკეთებინათ. უფროსი დოსტაქარი და ყველა მისი თანაშემწე ბეჯითად ემზადებოდენ ამ მძიმე აქტის-ვის. გაკრიალებული იარაღები რიგზე ეწყო საოპერაციო ოთახში. ყველაფერი სუფთა, არსად მტვრის ნამცვრევი, სუფთად, თეთრად გამოწყობილი ექიმები, ფერშლები. ფერმიხდილი, დასუსტებული მოხუცი სუფრაზე გაშხლართეს და ბანგი მისცეს.

სამარისებური დუმილი ჩამოვარდა. შეუდგნენ საალალბედო საქმეს... ამას გრძნობდა უფროსი დოსტაქარი, სხვა ექიმები, მთელი საავადმყოფოც. ყველა მოუთმენლად მოელოდა აპერაციის შედეგს ყველა მოელოდა მოხუცებულის გადარჩენას...

გავიდა ერთი საათი...

ღიმილით მხიარული გამოვიდა ოთახიდან დოსტაქარი, მას თან მოსდევდენ მხიარული სახით დანარჩენი ექიმები. თუ ფერშლები გამხიარულდა სრულად საავადმყოფო.

საბრალო მოხუცებული! რათ უნდა მომკვდარიყო. კიდევ იცოცხლებს გაუწყალებ-



**დოლი დრამატიულ კრებაზე**

**ალ. წუწუნავა**—გამოდი, გამოდი! მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა კარტ-ბლანშებით სინეკურების გამრავლება!..

**შალვა მესხიშვილი**—გააჩერეთ, თორემ ლამის ბრაზით გავ...

---

ლად ათ თუთხმეტ წელიწადს, იქნება მეტსაც.. მადლობა ღმერთს! . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . .

— დეპეში, დეპეში ომის ველიდან!— დაიძახა ვილაცამ, და წავიკითხეთ:

„მესამე დღეა, ცხარე ომია. მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. უკან გაბრუნებულს ველზე დარჩა აურაცხელი დაჭრილ დახოცილები. ჩვენ მოგვიკლეს სამიათასი, დაჭრილია ხუთიათასი.“

**ბ**

საავადმყოფში ვიწექი...

მეზობელი ოთახიდან მძიმე ავადმყოფის ღრმა ამოოხვრა მესმოდა. ახალგაზდა ქალი იყო.

დერეფანში გამოვედი... ავადმყოფის კარებთან მოხუცი დედაბერი იჯდა და ლოყებს იკაწრავდა:

— მიკვდება, ესეც მიკვდება... უი, ჩემს თვალებს!

— რითაა, დედაო, ავად?

— ზაფრებით, შვილო, ზაფრებით, შენი ჭირიმე... შვილი ომში წამართვეს.. ეს რძალია, შენ გენაცვალე, ჩემი. სულ ერთი კვირის ჯვარდაწერილი. ამ უბედურს ვეღარც... ზაფრები მოერია. აბა, რა უნდა იყოს — გუშინწინ მერცხლებივით მყავდა ორივე... ახლა აღარც შვილის ამბავი ვიცი და ეს ცოლცვის შვილი აქ მიკვდება... რა ვქნა, რა ვქნა მე სამიწემ... ვაიმე, შვილებო!...

ავადმყოფმა რაღაც წამოილუღლუღა...

— მიხედე, დედაო!

ძლივს წამობობღდა და ბარბაცით მივიდა საწოლთან. ავადმყოფმა წყალი მოსთხოვა. მიაწოდა. შემდეგ მოხუცმა ხელები გამოართვა და ზედ კოცნა დაუწყო. სნეულმა სუსტად გამოართვა ხელები და საკოცნელად ტუჩი გაუწოდა. მოხუცმა აკოცა, აკოცა და წამსვე ნამალავად ბაღდადის ყურით ტუჩი მოიწმინდა.

ყველა ეს შევნიშნე და გავვოცდი... რა იყო ეს?!. სიკვდილის შიში, ინსტიკტი, გრძნობა თავის დაცვისა?.. მიხრწნილი მოხუცი! იქნება, ღვიძლი შვილისთვის თავს იცავდა რძლის ზაფრებისაგან?...

ვერ ავხსენი მოხუცებულის საქციელი...

**გ**

საავადმყოფოში ვიწექი. .

— ბიჭობა და ვაჟკაცობა ფარათაც არ ფასდება ახალანდელი დროის ომში. ორ და სამ ვერსზე თოფი გკლავს და ხუთსა და რვაზე თურმე ზარბაზანი და შენი მკლავის ძალა და მოქნევა ფას...

— ეს ლემენცი დიდის ცოდნის და ჭკუის ხალხი ყოფილა თურმე. ერთნაირი ზარბაზანი გამოუგონიათო. გაისვრიან და ტყვიაში მისთანა მოწყობილობაა თურმე, რომ გასკდება თუ არა, გამოვარდება იქიდან დიდი უშველებელი ქაღალდი და ფოტოგრაფია გადაიღებსო მტრის ჯარის ბანაკსა და ბინას და ეს ქაღალდი გასწევს და მიუვა თურმე იმათ..

— ლემენცი, ლემენცია, მარა არც ფრანცუცი ჩამოურჩება თურმე.. იმგენსაც გამოუგონიათ ერთნაირი ზარბაზანი. ისვრიან ტყვიას, წავა, მიარ-მოიარს და თუ მოკლა ვინმე, ხომ კარგი, თუ არა და, დაბრუნდება ისევ და შესრიალდება თავის ზარბაზანშიო.

— ერი ჰა! ეგ ზღაპარია, ძმაო..

— ისეთივე ზღაპარია, ძმაო, როგორც შენი...

შევიკრიბებოდით ხოლმე საავადმყოფოს დერეფანში და თავს ვირთობდით ამის გვარ მოსულ, თუ გაგონილ უცნაურ და საზღაპრო ამბებით მტერზე და ჩვენიანებზეც. .

# სინათლე

## ნაწილი მეორე

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 36)

### მოქმედება პირველი

#### სურათი მეორე

მეფის დარბაზი. თითქოს სამგლოვიაროდ არის მორთული. მორთულობა მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს. მეფე **ავთანდილი**, **სახლთუხუცესი**, **ვეზირი** და მცირე **ამალა**.

**ავთანდილი** (მოწყენილი, უდროოდ დაბერებული, მრისხანე სახით) სახლთუხუცესო, ყველა კარები ხომ ჩაკეტილია, დარაჯები ყველგან სდგანან?..

**სახლთუხ.** დიაღ, ბატონო ჩემო, დარაჯების რიცხვი გავამრავლე, რკინის კარებს ფოლადის სალტეები შემოვაკვრევინე.. შეუმჩნევლად ბუზიც კი ვერ შემოფრინდება..

**ავთ.** ვეზირო, ჩამოაღრჩეს ის ავაზაკები?

**ვეზირი.** უმალ აღვასრულე შენი ბრძანება, ჩვენო დიდებავ!.. ჯერ არ გათენებულიყო, რომ მხეცთა ხროვა ხეზედ ეკიდა...

**ავთ.** ხა, ხა, ხა... კარგი ოქროს შანდალი ჩაიგდეს ხელში.. ნეტა რამ მოაფიქრებინათ, როგორ გაბედეს, ან რას გახდეობოდნენ?

**ვეზ.** ოქროს შანდალის მოპარვა სწადდათ... მერე უიარაღოდ?.. ფრინველიც კი ვერ მისდგომია მიუვალ კოშკს და მაგ უგუნურებს რა შეეძლოთ: ისრები დაახალეს დარაჯებმა, და ისე ჩამოგორდნენ სალ კლდეზე, როგორც კენჭები... ჯერ იქვე რამოდენმა დალია სული. ახლა ვინც ცოცხალი გადარჩა, ყველანი ხელთ ვიგდეთ და იქვე დიდროვან კაკლის ტოტებზე ჩამოვკიდე..

**სახლთ.** თვალყურის დევნა, გაფრთხილება გჭირია, მეფე.. ხალხი აღელვებულია... შიგა და შიგ მაწანწალები დაძრწიან, აქეზებენ... დამშეულმა გამხეცებულმა ბრბომ ლამის არის ძალას მიმართოს.. ჯარის კაცებშიაც ღალატის სუნი სდგას... სასტიკი ზომებია საჭირო... ცეცხლი დასაწყისშივე უნდა ჩააქრო, თორემ მთელს შენობას გადაბუგავს...

**ავთ.** გარეშე მტერს მუსრი ავადინე... ორი სამეფო დავამხე, გავანადგურე და შინაურს ძაღლებს ადვილად დავაშოშმინებ... გაეცით ბრძანება ხვალ ხარჯის შეგროვებას შეუდგნენ, გალაშქრებას ვაპირებ, ოქრო მჭირია ..

**ვეზ.** ხვედრი ხარკი უკვე ავკრიბეთ ..

**ავთ** მერე?...მეორედ გადაახდევინეთ და აბა ვინმემ უარი სთქვას... თუ ხმა-კრინტი დასძრა ვინმემ, უმალ წუთი სოფელს გამოასალმეთ... არ დაინდოთ არავინ... მე მსურს და ასეც უნდა იყოს!..

**სახლთ.** ქვეყნის მზეო! შეამბოხეთა შორის, რომელნიც კოშკის აღებას ლამობდნენ, ორნი ცოცხალნი დარჩნენ, გადავარჩინეთ, რადგანაც ეტყობოდათ ბრბოს მეთაურობდნენ... მეტად მამაცნი და ამასთანავე ურჩნი უნდა იყვნენ... მე და შენმა ვეზირმა გადავწყვიტეთ, მოგგვაროთ იგინი, გამოჰკითხე... თუ ჩვენს ჯალათს ჩა-გდებ ხელში, მსწრაფლ ენას მოუშვებენ და ბევრს რასმეს გამოამჟღავნებენ... ჩვენს ხელთ არიან და მაგათი საიქიოს გამგზავრება ადვილზედ ადვილია...

**ავთ.** ბრძნულად მოქცეულხართ... შენვე მოგანდობ მათ გამოკითხვას...გამოცდილი ხარ მაგგვარ საქმეებში... თუ ჯალათი ვერას გახდა, ოქროს მიმართე ზოგჯერ ოქრო აუტანელ წამებაზედაც კი უძლიერესია... (შემოდის კარის კაცი)

**კარის კაცი**. დიდებულო მეფე! ვიღაც მოხუცი გლახაკი გახლავს.. შენი ნახვა სწადია.. მეტად საჭირო საქმე მაქვსო..

**ავთ**. თუ მოწყალებას ითხოვს, მოწყალების გუნებაზედ არა ვარ... გააგდე?..

**კარის კაცი**. მაპატიე დიდებულო! რაღაც უცნაური ადამიანია, უფრო მესტვირეს წააგავს...ძლიერ საჭირო საქმე მაქვსო... დაჟინებით თხოულობს შენს ნახვას... ჩვეულებური არ უნდა იყოს .. ეტყობა შორიდან მოდის... მთელი ეზო სასახლისა ისე გამოიარა, ერთს ოთხფეხს მისთვის არ შეუყეფნია... მოგეხსენება რა ანჩხლი ძაღლები გვყავს; კაცს ცხენიდან ჩამოაგდებენ... გაჩნდა ეს გლახაკი, ძაღლებმა ერთი კი წაიწმუკუნეს და აქეთ-იქით კუდ-ამოძუებულნი გაიფანტნენ...

**ავთ**. მეკარემ როგორ შემოუშვა? მაშ ეგრე ვინც კი მოიწადინებს, შემოიჭრება ჩემს სასახლეში.. მაშ სახლშიაც უზრუნველყოფილი არა ვარ?!. ჩამოჰკიდეთ მეკარე ალაყაფის კარის ბოძზე... გლახა კი აქ შემოიყვანეთ.. ვნახოთ რა ჯურის ადამიანია... (კარის კაცი გავა) სახლთუხუცესო, თვალყური არ გიჭირავს; თუ სასახლეში უწესობაა, სამეფოში რაღა იქნება! . იძახი, ლალატი გარს გვივლისო და სასახლის დარაჯნი და მსახურნი ვერ გაგიწრთვნია?..

**სახლთ**. მაპატიე დიდებულო! ვფიცავ, ჩვენს გალავანს ფრინველიც ვერ გადმოსცილდება შეუმჩნეველი... არ მესმის, ეგ გლახაკი ვინ არის? თუ მიბრძანებ, მე გამოვკითხავ და გინდ ჯოჯოხეთიდან იყოს მოგზავნილი, შენს მზეს ვფიცავ, ყოველისფერს ვათქმევინებ...

**ავთ**. არა, აქ შემოვიდეს, მე თავად მსურს გამოვკითხო... შენ იმ ორს ავაზაკს მოუარე. (სახლთუხუცესი გადის, შემოვლენ კარის კაცი და ქაჯთა მეფე, გლახაკად გადაცმული, სტვირი აქვს)

**ქაჯთა მეფე**. სალამი და დიდება მეფე ავთანდილს...

**ავთ**. გაგიმარჯოს... ვინა ხარ, საიდან მოდიხარ?.. ან ისე როგორ შემოიპარე ჩემს სასახლეში, რომ არავინ შეგაჩერა? ალბად უცხო ვინმე ხარ და არ იცნობ მეფე ავთანდილს... ჩქარა სთქვი, რაც სათქმელი გაქვს, შენთვის არა მცალიან . მხოლოდ მოწყალებაზე ნუ დაიწყობ: მოწყალების გუნებაზედ არა ვარ...

**ქაჯთა მეფე**. შენ დღეგრძელი იყავი, შენი ჭირიმე, მე არა მინდა რა... მოწყალებას შენი ხალხიც უხვად მაძლევს... შორიდან მოვდივარ, სამი სამეფო გადმოვიარე, მუხლი აღარა მაქვს .. თუ ნებას მიბოძებ, დავჯდები! (ჯდება) დიდი საქმე მაქვს შენთან... დრო ბევრი მჭირია და შენც მოთმინებით ალიჭურვე და მომისმინე...

**ავთ**. მოხუცი ხარ, ზრდილობა უნდა იცოდე... კადნიერება მეჯავრება და შენი ჭაღარა ჩემი რისხვისაგან ვერ დაგიფარავს...

**ქაჯთა მეფე**. ჩემი დრო მოვჭამე... არა რა მსურს რა და არას ვეძებ, ამიტომ არაფრისა მეშინიან... მე თუ მოვედი, შეხთევის მოვედი... ვყოფილვარ ოდესმე აქ.., სულ სხვა სურათი მინახავს. ცხონებულ მამიშენის დიდებულ მეფე ჯიმშერის დროს ცხოვრება ჩუხჩუხით გადმოდიოდა... გარეშე თუ შინაური მეფის დიდებას გაიძახოდა.. ახლა კი...

**ავთ**. (წამოხტება) ახლა კი რაო? მეფეს აძაგებენ... სწყევლიან... უკმაყოფილნი არიან?.. ღელავენ?.. ამბოხებას აპირებენ... მერე შენ რა?.. მათი მოციქული ხარ? მსწრაფლ ამოგაგლეჯ მაგ წუწკ ენას... რას ლაპარაკობენ ხალხში? ჩქარა თორემ. .

**ქაჯ. მეფე**. ნუ ჩქარობ და ნუ ჯავრობ. ხალხი--ხალხია. ბრბო კმაყოფილი არასოდეს არა ყოფილა და არც იქნება და თუ იგემებს სინათლის ძალას, მაშინ ხომ სულ გადირევა... ბრბოს, ხალხს მარტო შიში სწამს, მარტო ძალას უწევს ანგარიშს, თაყვანს მარტო ძლიერსა სცემს... შენ თავად აჩვენე მას სინათლის ძალა და ახლა იგი მარტო სინათლეში ხედავს მაგ ძალას და არა თვით შენში...

**ავთ** რაო? მაშ ჩემი არ ეშინიანთ.. ხა, ხა, ხა. . შენ კი, მოხუცო, იცი რომ ჩემის სახელით ბალღებს აშინებენ?.. იცი რომ სადაც ფეხს დავდგამ, იქ ბალახიც კი შიშისაგან ხმება? არ ეშინიანთ?..

**ქაჯთა მეფე**. მაშ რაღას ჰკეტავ რკინის კარეს? რად ამაღლებ გალავანს, რად გინდა ამოდენი დარაჯნი? დიაღ, ეშინიანთ შენი დარაჯებისა, შენი მხედრისა და არა თვით შენი შიში აქვთ... აბა ჩაუგდე ხელში ოქროს შანდალი?.. დღეს დარაჯნი და მხედარნი მართალია შენი ერთგულნი არიან... მაგრამ ხვალ? ადამიანის გუნება ცვალებადია .. ტაროსი იცვლება, შეხედულობაც . მართალია ზამთარს ყოველთვის გაზაფხული მოსდევს; მაგრამ ყველა გაზაფხული ერთნაირი არ არის... წელს გვალვაა, გაისად ნოტიო, ზოგჯერ გრიგალი დაჰქროლებს, ზოგჯერ დასეტყვავს კიდეც...

**ავთ**. (მიუახლოვდება, სტაცებს ხელს) შენც კი, ბებერო, შენ რაღაც იცი, რაღაც გაგიგია... სთქვი, თორემ ჩემს მზეს ვფიცავ შენი დამპალი ლეშით ყორნებს გავაძღობ ..

**ქაჯთა მეფე**. დაიცა, დაიცა, დიდებულო მეფევ.. ნუ ჩქარობ და ნუ ცხარობ.. გითხარი შენთვის მოვსულვარ, შველა მწადია...

**ავთ**. სთქვი, რას ლაპარაკობენ ხალხში? რა სწადიათ?..

**ქაჯთა მეფე** გეტყვი, გეტყვი დიდებულო მეფევ? . დამვშვიდდი და ყური მიგდე (ავთანდილი დაჯდება). ხალხში ზღაპარი გამოუთქვამთ: (სტვირზე)

იყო ავთანდილ ჭაბუკი,
ოქროს შანდლისა მფლობელი,
სინათლის ქვეყნით მოსული,
ავისა დამამხობელი

**ავთ**. ჰო, მე დავამხე გველეშაპი, დავიხსენი მთელი ქვეყანა და მადლობის მაგიერ ამბოხებასაც მიპირებენ?..

**ქაჯთა მეფე**. ზღაპარი არ დამიმთავრებია..

მეფედ დაგვიჯდა ავთანდილ
ოქროს შანდლითა ძლიერი,
შვება მოჰფინა სამშობლოს,
აღორძინა თვის ერი ..
შეჰხარის ჭაბუკ მეფ სა
ერი, მის სახელს ლოცულობს...
მაგრამ დახედეთ, ავთანდილ
გადატრიალდა, ორგულობს ..
სინათლემ მეფეს აწყინა
და ფერიათა წყალობა
მოისწყინდა, ოქროს შანდალიც
აწ სიბნელეში იფლობა...
სდუმს სალამურიც, მეფემან
კვალი დაჰკარგა ნათლისა:
ვეღარ დაუკრავს სალამურს,
ძალაც ვერ ნახოს შანდლისა ..

**ავთ**. არ მჭირია შანდალი და სალამური... ისედაც გაუსწორდები ჩემს მტერს .. ზარს დავცემ, მთელს სამეფოს გავანადგურებ, ცოცხალს არავის დავარჩენ და ურჩობას არ მოვითმენ..

**ქაჯთა მეფე**. ბრბო უგუნურია, მას ძალა სინათლეში ჰგონია და შანდლის ხელთ ჩაგდებას ლამობს.. უგუნურები!.. დღეს მშიერი, დაძონძილი თავის თავს ბურუსში, სიბნელეში ვერ ხედავს, თავის უმწეობას და სხვის ბედნიერებას ვერ არჩევს... ასე თუ ისე კმაყოფილია თავის ცხოვრებით და უკეთესს არ ეძებს...სინათლის შუქი კი თვალებს აუხელს, დაანახვებს უთანასწორობას, განსხვავებას და აი სწორედ აქ დაიწყება მისი ტანჯვა... ცოდნა მწვავეა—უცოდინარობა კი ტკბილი.. მაშ ნუ დაუთმობ მეფე შანდალსა, ნუ გააუბედურებ შენს ერს... თუ მეფეს გაუძნელდა შანდლის ხმარება, აბა ბრბო უგუნური რაღას გახდება...

**ავთ**. აკი სცადეს ერთხელ შანდლისა მოპარვა.. ხა, ხა, ხა... წადი, ნახე შიგ კლდის ძირში რამდენი ჰკიდია კაკლის ხეზე.. არავის დავინდობ... (შემოდის სახლთუხუცესი) რა ჰქენი? ხომ გამოჰკითხე?..

**სახლთ**. ჩვენო დიდებავ! ვერა რამ გასჭრა.. ვერცა წამებამ, ვერც ოქრომ... გაქვავდნენ, კრინტი ვერ დავაძვრევინე... ჯალათებს ოფლი წურწურით ჩამოსდით, გაბრაზდნენ... საშინელება იყო, მაგრამ ავაზაკნი ვერ გამოვტეხეთ ..

**ავთ**. უხეირონი ხართ. . თოკი ყელზედ ორივეს, მაღლა ჩამოჰკიდეთ...

**ქაჯ. მეფე**. მოიცა მეფე... მაგას ყოველთვის მოასწრობ... მაგრამ რა სარფაა?.. მაგ ბიჭებს ბევრი რამ ეცოდინებათ და ყელში თოკ წაჭირებული კი ვერას იტყვიან... აქ დაიბარე.. ბევრი მივლია, ბევრი მინახავს... ერთი შეხედვით ადამიანსა ვცნობ... მაჩვენეთ ის კაცები... არ ინანებ.. თუ გავხდი რასმეს,—ხომ კარგი და თუ არა—ე თოკი ხომ მზად არის...

**ავთ**. შემოიყვანეთ ავაზაკები. (სახლთუხ. გავა) შენ, მოხუცო, გონება გიჭრის, როგორც გატყობ... აბა, ეცადე, გამიგე რამე და უხვად დაგასაჩუქრებ...

**ქაჯთა მეფე**. შენი წყალობა არ მომაკლდეს.. მე არა მინდა რა.. ერთ ლუკმა პურს ყოველთვის ვიშოვი... ცალი ფეხი სამარეში მიდგას, არაფრის სურვილი მაქვს... უანგაროდ გემსახურები.. სიმდიდრეც, დიდებაც გამომიცდია, ვერაფრით გამაკვირვებ, დავხარბდები...

(შემოჰყავთ **პირველი** და **მეორე პატიმარნი**, თან მოსდევს **სახლთუხუცესი**. დარაჯები ძალით დაამხობენ პატიმართ იატაკზე).

**ავთ**. ხომ კარგად გაგიმასპინძლდათ ჯალათი..? ხომ არ მოგაწყინათ?...

**ქაჯთა. მეფე** მიუახლოვდებათ პატიმართ და დაცქერდება) დიდებულო მეფე, სოფლის ბოლოში პატარა ქოხია, პატარა კარმიდამოთი.. ქოხში მზეთუნახავი ქალი სცხოვრობს.. თვით უმშვენიერესი ფერიები მის სიტურფეს შურის თვალით უმზერენ.. (უჩვენებს პირველ პატიმარზე). იგი ტურფა აი ამ ვაჟკაცის ცოლია.. (მეორე გლეხზე) და ამისი კი ღვიძლი და... ქოხის წინ მწვანით მოსილი პატარა ეზოა.. ხშირად ამ ეზოში, როგორც ცქვიტი ქურციკი, დახტის, დანავარდობს პაწაწა არსენა, (პირველ გლეხზე) აი, ამ ვაჟკაცის პირმშო შვილია... ცქვიტი და მოხდენილი ბავშვია არსენა, მთელი ხალხის საყვარელი.. მასზედ ამყარებს მთელი ერი თავის იმედს... ხალხში რწმენაა, რომ არსენა იგი გმირი გახდება.. მამით გაწრთვნილი, ხალხის მიერ აღზრდილი, არსენა მიაგნებს ოქროს შანდალსა, ჩაიგდებს სალამურს და თავის ერს თავისუფლებას და ბედნიერებას მიანიჭებს... შეიბრალე მეფე უმანკონი — ბავშვი და ქალი, დაობლდებიან...

**ორივე პატიმარი** დაილოცა შენი ქალარა, მოხუცო!..

**პირ. პატ.** მეფევ, პატიბეას არ გთხოვთ, დანაშაული არა მიგვიძღვის რა და ცუდ-უბრალოდ ნუ დააობლებ....

**ქაჯ. მეფე** მეც მაგას მოგახსენებ... მოწყენითა ხარ, დიდებულო მეფევ.. მზეთუნახავი თვისის ალერსით გაგართობს და შენც მას ცრემლებს შეუშრობ.. პატარა არსენა გამოგადგება.. ორივ მოაყვანინე: ქალი სასახლეში და ბავშვი კი იმ რკინის კოშკში ჩაამწყვდიე, დეე ეჭიროს მუდამ ხელში ოქროს შანდალი... რკინის კოშკიდან ვერსად გავა.. შორიდან უმზიროს და ულოცოს ხალხმა.... მაშ ასე: ობლებს მოუვლი და ხალხსაც ცრუ იმედს გაუქარვებ.

**ორივ პატ.** წყეულიმც იყავ, ბებერო ძაღლო....

**მეორე პატ.** მეფევ, დაგვახრჩე, აგვკუწე ნაწილ-ნაწილად, ცოცხლივ დაგვმარხე, მხოლოდ მაგას ნუ იზამ... არ შეჰფერის არ ეკადრება შენს დიდებას...

**ავთ** ჰა-ა, ამოიღეთ ხმა.. მაშ გამოტყდით, მიამბეთ ყოველისფერი, მითხარით ვინ აღელვებს, ვინ აჯერებს ხალხს? რა გწადიათ!..

**ვეზირი** სთქვით, მეფე გიბრძანებთ!...

**ორივ პატ.** არა ვიცით რა, ვერაფერს ვიტყვით....

**ავთ.** მაშ რკინის კოშკთან რა გინდოდათ?...

**ორივ პატ.** თაყვანი უნდა გვეცა ოქროს შანდლისათვის...

**ავთ.** იმიტომ იერიში მიიტანეთ, ემუქრებოდით დარაჯებსა... ჰა, კიდეც დამცინით.. ვეზირო, აფრინე მხედარნი და ბავშვი და ქალი აქ მომგვარე... (პატიმრებზე) გაათრიეთ აქედან და სხვებთან ერთად კოშკის ძირში ჩამოჰკიდეთ..

**ფ ა რ დ ა**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ქართული სახიობა

**ქართ. დრამ. დასის მსახიობთა ამხანაგობის** წარმოდგენა („დალატი", ა. წუწუნავას რეჟისორობით) სახალხო სახლში 10 გიორგობისთვეს სწორედ ქართული სასცენო ხელოვნების ზეიმი იყო. პიესა გაცილებით უკეთ დაიდგა, ვიდრე „არტ. საზ. თეატრში" და მსახიობნიც თვითეულად ერთი სამად უკეთ ასრულებდენ ნაკისრ როლებს; ყოველი მათგანი ისეთის ხელოვნებით და შეგნებით სთამაშობდა, რომ სრულს ილიუზიას ჰქმნიდა და ერთს მეორისგან ვერ გაარჩევდით უკანასკნელი მოქმედება ხომ არა თუ ამ საღამოსი, არამედ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა დადგმულ „დალატთა" გვირგვინი იყო. ამიტომაც — ამ საღამოს მრავლად დამსწრე საზოგადოებაში ხშირად გაიგონებდით — ეს პიესა ბევრჯელ მინახავს მაგრამ ასეთი ესთეტიური სიამოვნება არასოდეს განმიცდია, თითქო პიესას რაღაც ახალი სული აქვს ჩადგმულიო. უსმენდით, უმზერდით ნ. ჩხეიძეს (ზეინაბი) და მრავალტანჯული საქართველო გესახებოდათ თვალ წინ, მასთან ერთად იტანჯებოდით, მასთან ზეადიტაცებოდით.

პირველი მოქმედება, მეორე და უკანასკნელი ისეთის სიძლიერით შესრულდა, რომ უკეთესსაც ვერ წარმოიდგენდით; უკანასკნელ მოქმედებაში მისმა შვილის დალატით გამოწვეულმა სასოწარკვეთილებამ და მტერზე გამარჯვებით აღფრთოვანებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია მ შარაშიძე ჩინებული სულეიმან ხანია. ყოველი ნაბიჯი, მიხვრა-მოხვრა, ყოველი გამოხედვა მისი წარმოგვიდგენდათ აღმოსავლეთის მტარვალს. ალ. ყალაბეგიშვილი (ოთარბეგი) გრიმით, მიხვრა-მოხვრით და საზოგადოთ როლის შეგნებით წინანდელზე უკეთესი იყო. კიდევ ვიტყვით, ამ მსახიობს, ამ როლის შესრულება უკეთ შეუძლიან, რომ იმეცადინოს. ალ. იმედაშვილი (დათო), პიერეტა (რუქაია), ელ. ჩერქეზიშვილი (მაიკო), ი. ზარდალიშვილი (ირაკლი), პ. კორიშელი (ანანია), ან. ქიქოძე (გაიანე), დიდის დაკვირვებით და ხელოვნებით ასრულებდნენ თავთავის როლებს. ჩვენი საყვარელი ვასო აბაშიძე (ბესო) წინად უფრო მოგვწონებია. გ. არაბიძე (ყარა-იუსუფი) ზოგჯერ როლის უცოდინარობით ბორძიკობდა, ისე კი იგი ერთი უკეთესი ყარაიუსუფთაგანია. უკანასკნელ მოქმედებაში, როდესაც სოლეიმანი კლდიდან გადავარდნას მიუსჯის, ისეთის სასოწარკვეთილებით გადაჭხედა აივანის გადაღმა, ისე ამოიგმინა, რომ მაყურებელთ აღგრძნობინა —მართლა და რა საშიშარ „დურდუმში“ უნდა ჩავარდნილიყო. მეტად საუცხოვო იყო, როგორც ვთქვით, ბოლო მოქმედება და მასში გამოყვანილი ყოველი მომქმედი პირი. ორბელიანი (ალ. შანშიაშვილი) და სუმბატი (მინდიაშვილი) თვისის ტიპიურის ქართველი მეომარ-გმირის სახით და ჩაცმულობით ისეთს შთაბეჭდილებას სტოვებდენ, თითქო სამარიდან წარმომდგარან გმირნი-გოლიათნიო. ქართულ სცენაზე ამ ორი ხატების განსახიერებას თითქმის ყურადღებას არ აქცევდენ ხოლმე და არც მაყურებლის ყურადღებას იქცევდენ, მაგრამ ნამდვილად კი დიდი ყურადღების ღირსნი ყოფილან. ერის წარმომადგენელთა შორის შენიშნავდით,—თუშთ, ფშაველთ, ქართლელთ და სხვა კუთხის შვილთ იავაივის დროშებით. მთელი ეს სცენა ცოცხლით სუნთქავდა: სასტიკ ბრძოლა გადახდილი მეომარნი გხიბლავდენ თავისის ბრძოლის წყურვილით. ამ სურათს დამსწრე საზოგადოება ხანგრძლივის ტაშით შეეგება, გამოიხმეს აგრეთვე რეჟისორი ა. წუწუნავა, მაგრამ იგი არ გამოსულა. ახალგაზდა დასმა ეს მეორე ნაბიჯი გადასდგა გამარჯვებისაკენ და თუ ასე იარა, მომავალი მისია.

მცირე შენიშვნა: საჭიროა წარმოდგენა უეჭველად გამოცხადებულ დროზე დაიწყოს, მოქმედების დროს, რაკი ფარდა აწეულია, დარბაზში აღარავინ უნდა შეუშვან. და ძუძუმწოვარა ბალღებიანად წარმოდგენაზე მოსვლაც არ ვარგა ხსენებულ სადამოს კ რების წარმარა გადება, ბავშვის შიგა და შიგ ტირილი და აგრეთვე ქანდარის ორივე მხრიდან წამოძახილი „ვაჩუმდით, სიჩუმე“ და ისინი მთელ შთაბეჭდილებას არღვევდა იმედია, ამხანაგობის გამგეობა ამ ნაკლს აიცდენს. ერთი შენიშვნაც რეჟისორს: ქართველ მეომართა და ჯარის კაცთა ერთნაირის ქულაჯებით გამოყვანა, ვგონებთ შეუწყნარებელია. სარდალს, უფროსს და მის ხელქვეითთა შორის უნდა იყოს თუ არა რაიმე განსხვავება? ერთი შეკითხვაც ბ-ნ ურშ ლს (ალ-რაზაკი)—ნუ თუ წინადვე იცოდა, რომ ირაკლი მოჰკლავდა, რატომ ერთი ხელი მაინც არ გაიქნია და რადა გვერდელა მოკვდ?.—**წ-ი**

**ქუთაისის თეატრი.** ზოგი ჭირი მარგებელიაო, ტყუილად არ უთქვამს ჩვენს ხალხს. ამ საერთო უბედურების დროს, როცა ყოველის მხრიდან სისხლი ილვრება, მტერმა შავი ზღვის პირზე მდებარე ქალაქებსაც კი ყუმბარები ესროლა, ქ. ქუთაისში მცხოვრებთ ეს მაინცა და მაინც არ დასჩენიათ დიდ წყლულად. ამის უტყუარ საბუთს დასი იძლევა, რომლის წარმოდგენებს ყოველთვის დიდძალი საზოგადოება ესწრება. ბათუმის, ფოთის და სოხუმის მცხოვრებნიც კი თან და თან იყრიან თავს ქუთაისში და აქ კი ერთად ერთი ადგილი სადაც თავისუფლად თავის მოყრა, ერთმანეთის ნახვა, გახმაურობა შეიძლება—თეატრია. ამას კიდევ დაუმატეთ დასის ჩინებული შემადგენლობა და მაშინ ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ რა ბედმა გაუღიმა ჩვენს მსახიობებს. კვირაში ექვსი წარმოდგენა იმართება თითქმის, სალამოებიანად და ხალხის ტევა არაა.

23 ღვინობისთვეს აქაურმა დასმა, მესხიშვილის მონაწილეობით წარმოადგინა უკვდავი „უიელ აკოსტა“. უმთავრეს როლებში გამოვიდნენ: მესხიშვილი (ურიელ) ქ. დავითაშვილი (ივდითი) და ბ. ფრანგიშვილი (ბენიოხაი). იღებდენ აგრეთვე მონაწილეობას: ბ. შალიკაშვილი (დე სილვა), ბ. მურუსიძე (მანასე), იშხნელი (დესანტო), და სხ. მესხიშვილი რასაკვირველია, როგორც სჩვევია მას ამ როლში, ჩვეულებრივად თამაშობდა. ივდითი არ ჩამორჩენია მას. ბ. ფრანგიშვილი ძლიერ სუსტი გამოდგა თვისი როლისათვის. მაგრამ საერთო შთაბეჭდილება, სანამ მასიურმა სცენებმა არ გააფუჭა იგი, კარგი იყო. ამის მიზეზი იყო სწორედ, რომ მთლიანი არ იყო განცდა და შთაბეჭდილებაც ნაგლეჯ-ნაგლეჯი გამოვიდა.

ლექსის კითხვამ ხომ... არც ღირს ამაზე ლაპარაკი. მხოლოდ ქ. დავითაშვილისამ შეასრულა ეს პირნათლად და ფრანგიშვილსაც შეიძლება ეპატიოს ცუდი თამაში, მხოლოდ იმტომ, რომ როლი იცოდა. სხვათა შორის ამ მსახიობმა როლი ყოველთვის იცის.

„პატარა კახი“, რომელიც 25 ღვინობისთვეს გვაჩვენეს, იმით იყო შესანიშნავი, რომ ქ. დავითაშვილი ასრულებდა კახის როლს და ბ. გუნია მუშა გლეხისას. მეფეს კი თამაშობდა ბ. ციციშვილი, რომელიც ხან და ხან ექსპრმოტად თამაშობს ხოლმე და ამიტომ როლი, ცოტა არ იყოს, ვერ იცის კარგად. თუ კი შეიძლება მამაკაცის როლი ქალმა შეასრულოს საერთოდ, ჰო მაშინ ქ. დავითაშვილსა ძლიერ კარგი იყო, მაგრამ ის ხომ ქალია და მასთან ნაზიც, ერეკლე კი ასეთ თვისებას მოკლებული იყო. მაშასადამ ) არა ბუნებრიობა ამ როლის ქალისათვის სწორედ ამაში მდგომარეობს. რაც შეეხება გელას (იშხნელი) ქ. მდივანს (მისი ქალი) და ლევანს (მურუსიძე) კარგნი იყვნენ. მასიური სცენები, გასაოცარი კია, ძლიერ კარგი იყო. აი მხოლოდ ამ საღამოს მოძრაობდნენ ისინი სცენაზე.

26 ღვინობისთვე საუკეთესო სადამოდ უნდა ჩაითვალოს მთელ სეზონში. დადგეს შეშლილია“ და „კრეჩინსკის ქორწინება“ ლადო მესხიშვილის მონაწილეობით. აქ შეიძლება გაჩერება და მეტის თქმა ზედმეტი იქნებოდა. არას ვიტყვით „გარლეიგის როლის ასრულებაზე, და არც „რასპლიუევის“, რადგან ლადოს აქ ბადალი არ ყოლია, არც ყავს და, ვაი, თუ არც ეყოლოს ჩვენს სცენაზე.

შეუდარებელი იყო ანას როლში („შეშლილია“.) ქ. დავითაშვილი. საერთოდ ჩვენს მსახიობ ქალს დრატიულ ადგილების გადმოცემა ძლიერ ემარჯვება. მათ მხარს უმშვენებდენ ნელლის როლში მ. მდივანი და ექიმის შალიკაშვილი. „კრეჩინსკის ქორწინებაში“ ყველა თავის ალაგას იყო. ზოგიერთი შეუსაბამობაც იყო, მაგრამ მესხიშვილი, როგორც ცენტრალური ფიგურა ისე იქცევდა ყველას ყურადღებას უსწორ-მასწორობა სრულიად შეუმჩნეველი რჩებოდა. **L,ami**

**სახალხო სახლში** ქართ. სახ. წარმ. მმართველ წრის გამგეობამ შაბათს, 8 გიორგობისთვეს, სადღესასწაულო საღამო გამართა საქართველოში ბატონ-ყმობის გადავარდნიდან 50 წლის შესრულების სახსოვრად. საღამოს პროგრამა: 1) ლექცია—„გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“, მ. წულუკიძის მიერ წაკითხული, 2) „არსენა“ ალ. ყაზბეგისა. 1 მოქ., „გლახა ჭრიაშვილი“, სცენები ილ. ჭავჭავაძისა და „მსხვერპლი“ ი. გედევანიშვილისა, 1 მოქ. ბ-მა ლექტორმა აღნიშა ქართულ მწერლობაში ვინ რა მხრით შეეხო ბატონ-ყმობას (გ. ერისთავი, დანიელ ჭონქაძე, ილ. ჭავაჭავაძე), როდის დაიწყო მოძრაობა ბატონყმობის წინააღმდეგ და თან და თან როგორ მომწიფდა ეს აზრი, როგორი იყო ყმა—გლეხი განთავისუფლების მონატრე, პირად თავისუფლების მეძიებელი (ილია ჭავჭავაძის კაკო ყაჩაღი), თან და თან როგორ შეიცვალა, გაცნობიერდა და ვანომდე (ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“) მოახწია, რომელიც უკვე საერთო ბედნიერებისათვის იბრძვის და უკანასკნელმა ხანამ რა გზით წარმოშვა „ლურჯ სალათიანი მებრძოლნი“, იმავე კაკო ყაჩაღისა და ვანოს შეცვლილი ხატება, როგორი იყო 60 და 80 ინტილიგენცია, ვინ იყვნენ „რაზნო-ჩინცები“ და რა ღვაწლი დასდო მესამე დასმა 90 წელში ლურჯ ხალათიანთა გამოფხიზლებას და ლექცია თავისი იმით დაათავა, რო ვისურვოთ გამარჯვება ამ „ლურჯ ხალათიანთ“—წინანდელ კაკოსა და ახლანდელ ვანოს დარჩენოდესო. რამდენადაც შინაარსიანი იყო ბ-ნ მ. წულუკიძის ლექცია, იმდენად ბუნდოვანი და არა მკაფიოთ წაკითხული. წრის გამხეობამა და ბ-თ ლექტორთაც უნდა უწყოდენ, რომ ცოცხალი სიტყვა მხოლოდ მაშინ ახწევს მიზანს, როცა იგი გარკვევით, მკაფიოდ იქნება წარმოთქმული (განსაკუთრებით ისეთი აუდიტორიის წინაშე, როგორც სახალხო თეატრშია). ნამდვილი ქართული სასაუბრო ენა, მტკიცედ გარკვეული სისტემა, ამა თუ იმ ცნების მკაფიოდ გამოთქმა და სხ.,—აი რა უნდა ამკობდეს სახალხო ლექციას. ხსენებულ საღამოს ლექციისა-კი მისი მრავალსიტყვაობისა და ბუნდოვანობის გამო შეიძლება ითქვას აუდიტორიის 9/10 ბევრი ვერაფერი გაიგო. ეს კი სამწუხაროა, რადგან, ვიმეორებ, ლექცია შინაარსს არ იყო მოკლებული. სამაგიეროდ წარმოდგენამ უკეთესი შთაბეჭდილება დასტოვა. საუცხოვო არსენა იყო ბ-ნი გ. ფრონისპირელი. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ეს ახალგაზდა. ამ საღამოში გლეხი არსენას შემდეგ შეასრულა მებატონის როლი („გლახა ჭრიაშვილი“), ხოლო „მსხვერპლში“ მამასახლისი. სამივე როლი ერთიერთმანეთისაგან გაათავთავა, ყოველი მათგანი ხელოვნურად განასახიერა. და მით გვიჩვენა თვისი ნიჭის მრავალფეროვნება. ასეთივე იყო მეორე ახალგაზდა მსახიობი მ. ჭიაურელი („გლახა ჭრიაშვილში“—იაკო შაიაშვილი და „მსხვერპლში“—მიხა). იმდენად ხელოვნურად შეასრულა ეს ორი როლი, ერთი მეორისაგან განსხვავებული ხმით, მიხვრა-მოხვრით, გრიმით და მთელის იერით, რომ ვერ წარმოიდგენდით თუ ორივე როლს ერთი მსახიობი ასრულებდა. მსახიობმა გამოიჩინა თვისი მხატვრული გემო და ბუნებრივ ალღო ნაირ ხატებათა ტიპიური გაპიროვნებისა. ამ ორივე სახიობთ ვურჩევთ, თვით განვითარებასა და სამსახიობო ფართე განათლებას ბეჯითად მოჰკიდონ ხელი. ზედმიწევნით კირგად ასრულებდენ ელ. ციმაკურიძე სიდონიას, ლ. ცაგარელი—გარსევან ამაყაძეს, გ. ჯაბაური ზაქარიას და ი მინდიაშვილი—იორამს. მოხდენილი ნინო იყო ჩ. ყიფშიძეც. შთაბეჭდილება ცოტათი შერყვნა სტატისტმა ბ-მა ფრონისპირელმაც მოურავის მოკვლის დროს, თითქო ათურმას გადადისო, ისე დააფრინდა ზაქროს და ფანჯარაშიც ყირამალა გადაეშვა. ვ. გამყრელიძე (გლახა ჭრიაშვილი და გაბუა „მსხვერპლში) და ელ. ჩერქეზიშვილმა (ქვრივი—„გლახა ჭრიაშვილში“) დიდათ ასიამოვნეს საზოგადოება თვისი მაღალ ხელოვნურის თამაშით. კარგები იყყვნენ ვ ი ე ვი (მეორე გლეხი), ს. ტარუაშვილი (მოხუცებული მებატონე). არა უჭირდათ რა სვანელს (პირველი გლეხი) და გ. ანაშვილს (მესამე გლეხი) „მსხვერპლში“ თავი ისახელა ნ. გოცირიძემ (ზაქო მედუქნემ),—განსაკუთრებით მოქმედების პირველ ნახევარში, მოხდენით შეასდულეს ს. ანკარამ (ნატო), ი. ჩოხელმა (შაქრო), ა. მეტრეველ ა (ბოქაული). შესაფერი გიგო იყო—კ. ხახანაშვილი. ვანო,—ეს ახალი ცხოვრების მერცხალი გ. ჯაბაურის აღსრულებით სრულიად გაუფერულდა გაჰქრა; (ეტყობოდა, ჯაბაური ავად იყო) დანარჩენნი ხელს უწყობდენ ანსამბლს. სამივე პიესა რიგიანად იყო დადგმული კ. შათირიშვილის მიერ, განსაკუთრებით მშვენიერი იყო „გლახა ჭრიაშვილში“—კანცელარიის ფანჯრებს გარედ თავქვეზე მსხდარი გლეხობა და სხვა და სხვა ჯურის ტიპები, რომელთა აღმსრულებელნი, თუმცა უსიტყვოდ იყვნენ, მაინც მთლიან სურათს ჰქმნიდენ—მაგ. მ. გელიკურაშვილი, რ. სალაყაია და სხ. რეჟისორს. ჰმართებს ფარდის აწევამდე კარგად მიათვალ- მოათვალიეროს დეკორაციები, თორემ კარგი არ არის, როცა მშვენიერი სურათს უშნოდ წამოჩხირუ-

ლი ხარიხები ანუ დეკორაციის კიდურები ამახინჯებენ. არც ისაა კარგი, რომ 8 საათის მაგიერ, ნახევარი საათით გვიან დაიწყეს წარმოდგენა, რის გამოც სალამო ნაშუაღამევის 1 საათამდე გაჭიანურდა. ეს სასჯელია დამსწრე ხალხისა. **უსავანო**

**ავლაბრის სახალხო თეატრში** ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის მიერ ი. ივანიძის რეჟისორობით კვირას, 9 გიორგობისთვეს წარმოდგენილ იქმნა ნ. შიუკაშვილის ფრიად მშვენიერი პიესა „მეგობრობა“. პიესა შეთანხმებულის ძალებით წარმოადგინეს ბოლო მოქმედებამ მაყურებელთ შორის ტირილ ქვითინიც-კი გამოიწვია (ერთ ქალს გულიც შეუღონდაო), მაგრამ ამ პიესის წარმოდგენა ისეთი აუდიტორიის წინაშე, როგორიც ხსენებულ სალამოს იყო, შეუფერებლად მიგვაჩნია: პიესაში აღძრული კითხვები და განსაკუთრებით საუბარი, იქ ბევრი დამსწრეთათვის მიუწდომელი გამოდგა, თუმცა, ვიმეორებ, უკანასკნელმა მოქმედებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე.

შესაფერი არჩილ ლომაური იყო ი. ივანიძე, მაგრამ მეტად შეუფერებელი გრიმი ჰქონდა. პიესით იგი „სახით დატანჯული“, „ქაღარა შერთული“ უნდა იყოს, ისეთი კაცი, რომელსაც „ათი წლის განმავლობაში თავი მაღლა არ აუღია“—მუდმივ შრომაში ყოფილა—და ნამდვილად კი ძალზე შავ-წვერ-ულვაშა, ბევრი ბევრი 30 წლის კაცი იყო. ბოლო მოქმედებაში კიდევ ისეთი პარიკი დაეხურნა, რომ ქოჩორი შუბლზე სცემდა (პირველ სამ მოქმედებაში კი მელოტი ჰქონდა). არ გვგონია, მელოტს სიბერეში თმა მოუვიდეს და ისიც ხშირი ჯაგარივით-ქოჩორი. ან. კავთელი სჩანს კაი სცენის მოვარე ქალია, ხმა საუცხოვო აქვს და როლსაც (თამარი) შეგნებით ასრულებდა; ურჩევთ ყურადღება მიაქციოს მკაფიოდ გამოთქმას და სიჩქარის გამო სიტყვებს ნუ ჰყლაპავს. საჭირო იყო აგრეთვე, პირველ მოქმედების შემდეგ უფრო მდიდრული სამოსელი ჩაეცვა. მშვენიერი იყო ქარაფშუტა ვიქტორის როლში ი. სულთანიშვილი და სანდრო უბადრულიძის როლში ა. თავდგირიძე. ამ სცენის მოყვარევს ურჩევთ, ყველა როლს ერთის კილოთი ნუ ასრულებს და მუდამ სახე მოღუშული, კოპებ—შეკრული და თავ დახრილი ნუ არის საუცხოვო ელიკო იყო ვ. მარგველაშვილი. ასეთი გულწრფელი, წმიდა გრძნობით აღმსრულებელი როლისა იშვიათად გვინახავს. ურჩევთ ახალგაზდა სცენის მოყვარე ქალს თვით განვითარებას ბეჯითად მოჰკიდოს ხელი. გ. ნინოშვილი უფრო უკეთესი სანდრო უბადრულიძე იქნებოდა, რომ მხედრული მიხვრა-მოხვრა იცოდეს და ოთხად არ მოხრილიყო, როცა არჩილს თავს უკრავს. ქიზიყელი (ბალდიძე) მეტად ცმუკავდა, არა-ბუნებრივი იყო, კარგი ექვთიმე იყო მაჩხანელი, დანარჩენნიც ხელს უწყობდენ, მაგრამ უკეთესი იქნება ზოგიერთი სცენისმოყვარე სცენაზე საკუთარი სახით, საკუთარი წვერ ულვაშით არ გამოდიოდეს, როცა ეს საჭირო არ არის, თორემ იგი სათანადო შთაბეჭდილებას ვერ დასტოვებს. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სცენის მოწყობასა და დეკორაციებს. სალამოს გამგე იყო არ. შათირიშვილი. ერთი შენიშვნაც. ვითომ და ლოჟებს, რომელნიც ზედ სცენაზე მიდგმული, რომ მოაცილებდენ, უკეთესი იქნება.

**—ერი**

# წვრილი ამბები

◆ **თეატრის აღმადგენელ კომიტეტის** თავმჯდომარემ, წინამძღოლმა თავ. კ. ნ. აფხაზმა პარასკევ სალამოს მიიწვია კომიტეტის წევრნი, აღმასრულებელი ბიუროს ასარჩევად. როგორც შევიტყეთ, განზრახვაა მთელი საქართველო რაიონებად დაჰყონ, თვითეული რაიონი თითო წევრს ჩააბარონ, რომელიც მინდობილ რაიონში შეჰკრებს შემოწირულებას.

◆ **ახალა პიესა „ქვის მთლელნი„** პირველად ქართულ სცენაზე ქართ. დასის მსახიობთა მიერ მ. ქორელის რეჟისორობით წარმოდგენილ იქნება ხვალ, 17 გიორგობისთვეს, სახალხო სახლში.

◆ **დრამატურგი ი. გედევანიშვილი** შეუდგა ახალი პიესის წერვას ქართველ ინტელიგენციის ცხოვრებიდან. პიესაში გამოყვანილი იქნება ჩვენში მომქმედ სხვა და სხვა ჯგუფთა მიმართულებანი და განსაკუთრებული ხაზი ექნება გასმული იმ გარემოებას, რომ ჩვენში სამოქმედო ძალა არის, კაცებიც მოიპოებიან, მაგრამ საქმე კი ვერა კეთდება. რა არის ამის მიზეზი?

◆ **ბაქოს დრამ წრე და რეჟისორი შალვა დადიანი** დიდის მუყაითობით აწარმოებენ წრევანდელს სეზონს. სხვათა შორის, წრის თავმჯდომარემ ბ-მა თაქთაქიშვილმა დრამატურგს ი. გედევანიშვილს სთხოვა—ნება მოგვეცი ბაქოს სცენაზე „სინათლე“ წარმოვადგინოთო.

◆ **ახალი პიესა „სცენები“** „სოფლის მახინჯი ინტელიგენცები“ დასწერა ან. კ-ისამ.

◆ **მსახიობი მ. გვარაძე** მიიწვიეს ქუთაისის დრამ. დასში.

◆ **ქართ. დრამ. დასის ამხანაგობას** თბილისის საქალაქო სამართველომ სახალხო სახლში წარმოდგენებისათვის თავისუფალი დღეები სრულიად უფასოდ დაუთმო, თანახმად მსახიობთა წარმომადგენლების თხოვნისა.

◆ **ხარფუხის სახალხო აუდიტორიაში** ორშაბათს, 10 ნოემბერს შესდგა კრება ხარფ. ქართ. მმართვ. წრის სცენის მოყვარეთა ამავე წრის გამგეობაში თავიანთი წარმომადგენლების ასარჩევად. ერთხმად არჩეულ იქმნენ ბ-ნნი ა. შათირიშვილი და თ. კეკელიძე.

◆ **ავლაბრის სახალხო თეატრში** კვირას, 16 ნოემბერს, ავლაბრ. ქართ. სახ. წარმ. მმართვ. წრის გამგეობა მართავს არა ჩვეულებრივს წარმოდგენას ქართველ მსახიობთა მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული დრამა „ღალატი“. გამგეობა დიდის ზეიმით აპირობს ამ წარმოდგენის დადგმას.

◆ **ხარფუხის სახალხო თეატრში** სახალხო ქართ. წარმ. მართ. წრის გამგეობა სეზონსა ხსნის მომავალ ხუთშაბათს, 20 ნოემბერს.

Дозволено военной цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

## ავლაბრის სახალხო თეატრი

**კვირას, 16 ნოემბერს**

ავლაბრის ქართ. სახ. წარმ. მმართვ. წრის გამგეობა გამართავს არა ჩვეულებრივ წარმოდგენას

**ქართველ მსახიობთა მონაწილეობით**

წარმოდგენილი იქნება

# დ ა ლ ა ტ ი

დრამა 5 მოქ. ა. სუმბათაშვილისა, თარგ. გ. ყიფშიძისა

**მომქმედნი პირნი:**

სოლეიმან ხანი, შაჰის მოადგილე საქართველოში . . . . . ი. ზარდალიშვილი

ზეინაბი, მისი უფროსი ცოლი, ქვრივი საქართველოს მეფისა . ეფ. მესხი

რუქაია, მონა-მხევალი სოლეიმანისა. ან. კავთელი

ისახარ, ზეინაბის გამდელი, ანანიას ცოლი . . . . . . . . . . ქ. ნერქეზიშვილი

ოთარ-ბეგი, ქართლის გამგებელი განდგომილი ქართველი . . . ი. ივანიძე

გაიანე, ამისი ქალი . . . . . . გ მარგველაშვილი

ანანია გლახა . . . . . . . . . ა. ყალაბეგიშვილი

ერეკლე, მისი შვილობილი . . . . ი. ჟივაძე

დათო, ანანიას შვილი . . . . . . ალ. იმედაშვილი

ს...-ბერა . . . . . . . . . . . ჰ. კორიშელი.

ყარა-იუსუფი . . . . . . . . . გ. არაბიძე

ალ-რაზაკი . . . . . . . . . . გ. მახნანელი

გოგა . . . . . . . . . . . . . ს. სულთანიშვილი

ბესო . . . . . . . . . . . . . გ. აბაშიძე

მაიკო, გაიანეს გამდელი . . . . . თ. სააკოვი

იბნ-საადი, ლარაჯთა უფროსი . . მთვიდაგვარაშვილი

ორბელიანი } საქართველოს ჯარების გ. ნინოშვილი

სუმბატი } უფროსი ა. თავდგირიძე

მცველნი სოლეიმანისა, ქართველი მხედარნი, მონა-მხევალნი, გლეხნი, მსახურნი და სხვ

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

რეჟისორი **ი. ივანიძე**

მორიგე გამგე **მ. აბაშიძე**


მოიკითხეთ გველგან. თითო ნომერი 10 კ.

მოიკითხეთ ყველა მეგაზეთესთან თბილისში გაზეთი

**ახალი ქართლი**

გამოდის ქ. გორში, კვირაში ორჯერ—ხუთშაბათობით და კვირაობით. ცალკე ნომერი ერთი შაური, დაკვეთით წლის დამლევამდე ერთი მანათი. ხელის მოწერა მიიღება: ივ. ავალიშვილთან, წ. კ. გ. საზ. მაღაზიაში და გაზეთის თბილისელ აგენტთან —ვიქ. მექანარიშვილთან, დუშეთის ქუჩა № 21

# შექსპირი ქართულად!

## გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

მიიღება ხელისმოწერა ივანე მაჩაბლის მიერ ნათარგმნ **შექსპირის** რვა ტრაგედიის გამოცემაზედ: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი. მაკბეტი, იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, მორიოლანოს და რიჩარდ მესამე.)—გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდე გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები.—ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა საძნელოა,—მათთვის ხელისმოწერა განაწილებულია სამს ვადად: **პირველი შემოსატანი**—1 მან., მეორე—**პირველ ნოემბერს**—1. მან. და მესამე—1 მან. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წლის თებერვლის განმავლობაში. ხელისმოწერა მიიღება **თბილისში**: ქართვ. შორის წერა-კითხვის საზოგადოების გამავრცელებელ მაღაზიაში, და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგის ქუჩა, 52) „თეატრის და ცხოვრების" რედაქციაში (ქართ. თეატრში) და ქუთაისში მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში.

გამომცემელი **ქნ. ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა.**




(წ.—35) 4—2

ექ. ვახტანგ ლამბაშიძის

# სანატორიუმი

პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე

ქალ-ვაჟთათვის 8—15 წლამდე

დაწვრილებით პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.

მისამართი: თბილისი ექ. ვ. ლამბაშიძე ვარდისუბნის ქუჩ. № 9. (წ.)

## ექიმები:

**ა. ო. იაშვილი**

(თბილისის საქალაქო 1-ლი ნაწილის მკურნალი)

შინაგან ავადმყოფობათა.

დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.

წყნეთის ქ., № 19.

**კბილისა ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს

დილით 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.

გოლოვინის პრ., № 12.

**ვ. ლ. ლამბაშიძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.

ვარდის უბნის ქ. № 9.

**ნ. ი. თიკანაძე**

(თბილისის საქალაქო მკურნალი)

შინაგან სნეულებათა

დილით 12—1 ს., საღამოთი 5—5 ს.

კიროჩნი ქ. № 18

**შ. ა. მიქელაძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობათა.

საღამოთი 6—7 ს.

მიხეილის პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16.

**გ. ფ. ნათიშვილი**

ანისა, ვენერიული და სიფილისისა.

დილით $11^1/_2$—1 ს., საღამოთი 6—7 ს.

მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.

იოსებ იმედაშვილის გამოცემა №51

**სინათლე** ზღაპარი-ფეერია 3 მ. და 7 ს. ი. გედევანიშვილისა, ავტორის მოკლე ბიოგრაფიით, სურათებით და ექვსი ნახატით.

ფ. 30 კ. ათობლივ და ასობლივ ნაღდზე მყიდველთ თითო წიგნი დაეთმობა 22 კ. ფასდადებითაც გაიგზავნება.

მისამართი: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба"—Іосифу Имедашвили.

(12—11)

**ახალი წიგნი**

ლექსები, სცენები და მოთხრობები

**ა. მ. ახნაზაროვისა**

ავტორის პორტრეტით, კრიტიკული წერილით და სხვა სურათებით. ფ. 60 კ. საწყობი ავტორთან—საპერის ქ., № 5, საკ. სახლი. წიგნით მოვაჭრეებს ჩვეულებრივი % დაეთმობა.

(7—11)

**22 აგვისტ.-ლ ამოდის ყოველდღიური საპოლიტ. და სალიტ. გაზეთი**

## ახალი აზრი

**გაზეთი ღირს:** 1 წლით—7 მ., 6 თვით—4 მ. 3 თვით—2 მ. 50 კ., 1 თვით თბ.—80 თბ. გარეთ—90 კ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი.

**კანტორის ადრესი:** Тифлисъ, Орбеліановская ул. № 36

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით:** Теофилу Марковичу Кекелидзе. Тифлисъ, Орбеліановская ул., № 36.

სხვა ადრესით ფულს რედ. ვერი მიიღებს რედაქციის კან. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილ. 12—1 ს., საღ. 5—6 ს.

## შრომა

**სალიტ.-საპოლ. და ეკონომიური გაზეთი გამოდის ორშაბათობით.**

რედაქცია: გიმნაზიის ქ., ვ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.

**გაზეთის ფასი:** წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ., საზღვარ გარედ ორჯერ მეტი. ფული და წერილები მიიღება: Кутаисъ, ред. еженед. груз. газеты „Шрома"

„სორაპანი"-ს გამოცემა

დაიბეჭდა და გამოვიდა

**ქართველი მწერლები**

შედგენილი გომელაურის მიერ, ნაწ. I.

ფასი 80 კ.


სტამბა „სორაპანი" Типографія „Сорапанъ"